ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4477352

ნომერი: AR1671981

თარიღი : 01.04.2019

გაცემის თარიღი : 25.04.2019

გაცნობის თარიღი : 25.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ინტენსიფიკაცია , (ნაკვ. 015/107);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კენჭიაშვილი პ/ნ 31001009871
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 20 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 01 აპრილს №AR1671981 განცხადებით სამსახურს მომართა ირაკლი კენჭიაშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის № 4384219 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის № 4384219 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის (ნაკვ. 015/107) გვერდით, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.16.015.107), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლი 25 თებერვლიდან 2020 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს გეგმების ჩანაცვლებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა - ნახაზები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, -7.30, -3.30, +3.30 ნიშნულის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

ამდენად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული 0.00, -7.30, -3.30, +3.30 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 01 აპრილის №AR1671981 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №4384219 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.